საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №21

2017 წლის 22 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №142 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №142 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 20/10/2015, 100020020.22.038.016557) შევიდეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის:

1. „ა“ და „ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის საერთო კოორდინაციითა და მინისტრის ბრძანების შესაბამისად უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოდან ძებნილის ან/და სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებულის საქართველოში ეტაპირებას, აგრეთვე სხვა სახელმწიფოსთვის ძებნილის ან/და სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებულის გადაცემას;

ბ) სამმართველოს უფროსის დავალებით, უზრუნველყოფს სამმართველოს წინაშე მგდარი ფუნქციების შესრულებას.".

2. „გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს საბადრაგო სამმართველოს ექსტრადიციის განყოფილებამ უზრუნველყოს ძებნილის ან/და სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებულის გადაცემის თაობაზე განყოფილებაში არსებული მასალის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტისთვის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემა.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი **კახა კახიშვილი**